ტელეკომპანია „იმედს“
ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი მალხაზ რეხვიაშვილი

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი 189, სართული 3

მიმართვა

შპს „ტელეიმედის“ თვითრეგულირების საბჭომ, 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით, გადაცემაში „იმედის კვირა“ გასულ სიუჟეტში, რამდენიმე ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, მაუწყებელთა ქცევის კოდექსით განსაზღვრული სხვადასხვა მუხლის, მათ შორის - ჯეროვანი სიზუსტის დარღვევა დაადგინა.

აღნიშნულის შესახებ გადაცემის გუნდს გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ მივმართე, თუმცა რეაგირების გარეშე დატოვეს. ამის შემდეგ, თვითრეგულირების ორგანოში გამართული დავის შედეგად, დადგინდა, რომ სიუჟეტი მართლაც არღვევდა ჯეროვანი სიზუსტის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანი მოპყრობის მოთხოვნებს. კერძოდ - ჯეროვანი სიზუსტის (მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი) გარდა, ეთერში გასულ სიუჟეტში, თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილებით, დარღვეული იყო მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 და მე-20 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტები.

მოცემული სიუჟეტი ეთერში 18 სექტემბერს გავიდა. სიუჟეტი როგორც ცალკე, ასევე მთლიანი გადაცემის ფორმით განთავსებულია სოციალური ქსელის გვერდებზეც (როგორც იმედის კვირის, ასევე მაუწყებლის გვერდებზე). სიუჟეტის გასვლიდან შესაბამისი ვადის დაცვით მაუწყებელს და გადაცემის გუნდს სიუჟეტში არსებული დარღვევების შესახებ დავუკავშირდი და შესწორება ვთხოვე, მათ შორის - გამოვთქვი მზაობა - დაინტერესების შემთხვევაში პირდაპირ ეთერში მეპასუხა იმედის ჟურნალისტების ნებისმიერი კითხვისათვის. გადაცემის პროდიუსერის თქმით, იმედის კვირის გუნდი თვლიდა, რომ არაფერია გასასწორებელი, რადგან ისინი დარღვევას ვერ ხედავდნენ.

შესაბამისად, მას შემდეგ რაც დარღვევა დადგინდა თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილებით, გთხოვთ, მოიქცეთ მაუწყებელთა ქცევის კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

კერძოდ - მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც მაუწყებლისთვის ცნობილი გახდება შეცდომის შესახებ, *„მნიშვნელოვანი*

ფაქტობრივი შეცდომების შესწორება უნდა მოხდეს ღიად და დაუყოვნებლივ, თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით სათანადო საეთერო დროს.“

გთხოვთ, გაავრცელოთ არსებითად მცდარი ინფორმაციის უარყოფა იმავე მეთოდით, რომლითაც შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია მაყურებელს მიეწოდა. გთხოვთ, აღნიშნული მოთხოვნა დაიცვათ როგორც იმედის კვირის ეთერში, ასევე მაუწყებლის სოციალურ ქსელის გვერდებსა და ვებ-გვერდებზე. ამასთან, კიდევ ერთხელ ვადასტურებ მზაობას, დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, ღია ეთერში ვისაუბრო თქვენთვის საინტერესო საკითხებზე.

პატივისცემით

მალხაზ რეხვიაშვილი